



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 123

2011 წლის 30 სექტემბერი  
ქალაქი ხაშური

საავტომობილო საწვავის (ბენზინის) გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 26 სექტემბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110024756) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი საავტომობილო საწვავის (ბენზინის) შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 30 სექტემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოსათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის საწვავის მიწოდება კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოსათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის მისაწოდებლად საავტომობილო საწვავის (ბენზინის) გამარტივებული შესყიდვა.

2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

